საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1175-03
07/08/2025

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის 2025 წლის 5 აგვისტოს N1144-03 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59–ე მუხლის, ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 5 აგვისტოს N13371-35 სამსახურებრივი ბარათის, რექტორის N2368-02, 06/08/2025 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, მისაღები კვოტების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ რექტორის მ/შ 2025 წლის 5 აგვისტოს N1144-03 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების მეორე პუნქტში გასწორდეს ელექტრონული რეგისტრაციის ბმული, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტს დაემატოს შენიშვნა, და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   ,,2. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ 2025 წლის 18 აგვისტოს 10:00 საათიდან 2025 წლის 29 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით, რეგისტრაციის ბაზის საშუალებით შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/lecturers და უნდა ატვირთოს ქვემოთ მითითებული დოკუმენტაცია:
   ა) ავტობიოგრაფია (CV) – ქართულ ენაზე;
   შენიშვნა: სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა ავტობიოგრაფიას (CV) უნდა დაურთონ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სკოლა, ბაღი, პროფესიული სასწავლებელი, დღის ცენტრებსა და ანალოგიურ დაწესებულებებში) სწავლების მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.”

2. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს- სოფიკო ლობჟანიძეს.
3. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, ბიბლიოთეკას, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ყველა ადმინისტაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

გიორგი გვალია

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა